

დიპლომირებული სტომატოლოგის

საგანმანათლებლო პროგრამა



თბილისი

2020

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა

**განათლების საფეხური** - ერთსაფეხურიანი განათლება

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - დიპლომირებული სტომატოლოგი - Doctor of Dental Medicine (DDM)

**სწავლების ენა** - ქართული

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 300 კრედიტი (ECTS)

**სწავლის ხანგრძლივობა** - 5 წელი, 10 სემესტრი

**პროგრამის ხელმძღვანელი** - ნინო კორსანტია

*ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი*

### **პრეამბულა**

სტომატოლოგია ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. მისი მიზანი პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს ჯანმრთელობის დაცვაა, რაც ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ყოველივე მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული სამედიცინო/ სტომატოლოგიური განათლებით მიიღწევა, რაც დარგში თანამედროვე, უახლეს ინფორმაციასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული და საზოგადოების მოთხოვნებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის (და კურიკულუმის) განხორციელებით მიიღწევა.

### **პროგრამის მიზნები**

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადებას, რომელსაც ექნება სისტემური ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი უნარები:

1) კანონმდებლობის ფარგლებში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძ.#244/ნ, 16/07/2009) სამუშაო პოზიციის დაკავებისთვის:

ა) სტომატოლოგიური პროფილის სამედიცინო დაწესებულების უმცროს ექიმად;

ბ) სამეცნიერო და აკადემიურ თანამდებობაზე – მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,

2) სწავლის გაგრძელებისთვის უმაღლესი განათლების და/ან პროფესიული დახელოვნების შემდეგ საფეხურზე (რეზიდენტურა, დოქტორანტურა), სპეციალიზაციის, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში რეალიზებისა და კარიერული წინსვლისთვის.

პროგრამის მიზნები, უფრო დეტალურად, გულისხმობს სტუდენტის მომზადებას, რომელსაც შეუძლია:

- ბიოსამედიცინო დისციპლინების, კლინიკური მეცნიერებებისა და სამედიცინო დარგის ფუნდამენტური ცოდნის გამოყენება და კრიტიკული გააზრება პაციენტზე მაღალხარისხიანი ზრუნვის პროცესში დენტალური მედიცინის /სტომატოლოგიის პროფილურ საკითხებთან მიმართებაში;
- სტომატოლოგიური პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემათა დროული, შესაბამისი და ეფექტური დიაგნოსტიკა;
- სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისთვის შესაბამისი ზომების ეფექტურად მიღება;
- სტომატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა, მართვა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვით;
- სტომატოლოგიურ პაციენტთან ეფექტური და პროფესიონალური კომუნიკაცია;
- მაღალპროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებზე დაყრდნობით, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში თვითგანვითარება.

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვა აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის უფლება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება, ასევე, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52):

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება, ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე როგორც შიდასაუნივერსიტეტო (შიდა მობილობა), ისე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ, წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ჩარიცხვის სემესტრი დგინდება სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების ახალ პროგრამასთან თავსებადობის და აღიარების გზით.

### დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ მიღწეული სწავლის შედეგი კურსდამთავრებულის მიერ შექმნილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით გამოიხატება.

კომპეტენციები	ზოგადი კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
1.ცოდნა და გაცნობიერება	1. პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ბაზისური ბიოსამედიცინო ცოდნა,	აქვს ცოდნა: 1.1. დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემის იდენტიფიცირების და მისი

	მიღებული ცოდნის გააზრება სტომატოლოგიურ დისციპლინებთან მიმართებაში, ასევე, სტომატოლოგის როლის გაცნობიერება ადამიანის ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში	გადაჭრის პრინციპების შესახებ;  1.2. კლინიკური სტომატოლოგიური მეცნიერებების შესახებ;  1.3. სტომატოლოგის როლის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდურად, ისე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის პირობებში.
2.უნარი	2.1 ბიოსამედიცინო და კლინიკური დისციპლინების შესწავლისას ათვისებული კლინიკური და პრაქტიკული უნარების გამოყენება	<b>შეუძლია:</b>  2.1.1. სტომატოლოგიური მასალების, საშუალებების და ინსტრუმენტების შერჩევა და საჭიროებისამებრ გამოყენება;  2.1.2. სტომატოლოგიური პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა;  2.1.3. სტომატოლოგიური დაავადებების კლინიკური შემთხვევების შეფასება, დაავადებ(ებ)ის მართვაზე მსჯელობა;  2.1.4. მარტივი სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება.
	2.2 აკადემიური ცოდნის, კლინიკური და უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება	<b>შეუძლია:</b>  2.2.1. დარგობრივ სფეროში კონკრეტული (ან კომპლექსური) პრობლემისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების დროული ამოცნობა და არსებული და მოძებნული ინფორმაციის ანალიზზე დაფუძნებული დასკვნის ჩამოყალიბება;  2.2.2. ნორმისა და პათოლოგიური მდგომარეობის დიფერენცირება, პროგნოზისა და რისკების გათვლა.
	2.3 საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამედიცინო საქმიანობის განხორციელების	<b>შეუძლია:</b>  2.3.1. პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან, სამედიცინო და ადმინისტრაციულ პერსონალთან,

	<p>პროცესში ვერბალური უნარების ფლობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გათვალისწინებით</p>	<p>ჯანდაცვის და სოციალურ მუშაკებთან კომუნიკაცია; პაციენტისთვის უსიამოვნო ინფორმაციის მიწოდება, საჭიროებისამებრ - მისი დამშვიდება.</p> <p>2.3.2. პოლემიკაში ჩართვა, კონფლიქტური, თუ სადავო საკითხების გადაწყვეტისას საკუთარი პოზიციის გამოხატვა და დაცვა, და/ან ალტერნატიული მოსაზრების მიღება და აღიარება;</p> <p>2.3.3. სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოება და, საჭიროების შემთხვევაში, მისი პრეზენტაცია.</p>
<p><b>3.პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b></p>	<p>3.1 სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და დაგეგმვა</p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <p>3.1.1. განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დიაპაზონი და სიღრმე, გააცნობიეროს ხარვეზები, გათვალისწინოს საჭიროებები და გამოყოს პრიორიტეტები;</p> <p>3.1.2. სამედიცინო განათლების უწყვეტობის პრინციპიდან გამომდინარე, გამოიყენოს ახალი ცოდნის მიღების ყველა შესაძლებლობა საკუთარი პროფესიული პრაქტიკის სრულყოფის, ცოდნის გამდიდრებისა და კარიერული წინსვლისთვის.</p>
	<p>3.2 ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <p>3.2.1. კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი და სხვისი შესაძლებლობები და პროფესიული პასუხისმგებლობით, დიპლომამდელი განათლების კომპეტენციის ფარგლებში, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით განახორციელოს სამედიცინო მოქმედებები;</p> <p>3.2.2. ობიექტურად შეაფასოს საკუთარი</p>

		და სხვათა დამოკიდებულება პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი პროფესიული გამოცდილების სხვისთვის გაზიარებისთვის.
--	--	---

სტომატოლოგიური დისციპლინების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის დასრულების შემდეგ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის თვალსაზრისით კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- რუტინული სამედიცინო/სტომატოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის ძირითადი პარამეტრების შესწავლა და შეფასება, ანამნეზის შეკრება, ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარება, მიღებული მონაცემების რეგისტრაცია, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება;
- პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა, სათანადო გამოკვლევებითა და ანამნეზით მიღებული მონაცემების საფუძველზე მისთვის განმარტებების და რჩევის მიცემა;
- სტომატოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის ინდივიდური რეკომენდაციების შემუშავება და გატარება;
- პირის ღრუს ჰიგიენის რეკომენდაციების შემუშავება პაციენტის ასაკის, მისი ზოგადი მდგომარეობისა და სტომატოლოგიური სტატუსის გათვალისწინებით;
- ჩვენების მიხედვით, ადგილობრივი გაუტკივარების მეთოდებისა და საანესთეზიო საშუალებების შერჩევა, ანესთეზიის ჩატარება, პირველადი სტომატოლოგიური დახმარების გაწევა, პაციენტისთვის ანესთეზიის საჭიროების დასაბუთება, გამოყენებული საშუალებების მოქმედების მექანიზმების ახსნა, რისკების გათვლა და შესაძლო გართულებებისა და მათი თავიდან აცილების გზების დასაბუთება;
- სამკურნალო საშუალებების დანიშვნა, დოზირების განსაზღვრა, მოსალოდნელი გვერდითი ეფექტების განმარტება, რეცეპტის გამოწერა;
- კბილის კარიესული და არაკარიესული დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობის სქემის შედგენა, კბილის მაგარი ქსოვილების პრეპარირება, პირის ღრუს საიზოლაციო საშუალებების გამოყენება, საბჟენ-სარესტავრაციო მასალების შერჩევა და კბილთა დაბჟენა;
- პულპისა და პერიოდონტის დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობის გეგმის შედგენა, კბილების ენდოდონტიური მკურნალობისთვის საჭირო საშუალებების შერჩევა და კბილის ფესვის არხების დაბჟენა;
- პაროდონტის დაავადებათა დიაგნოსტიკის, დიფერენციული დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდების შერჩევა, პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენის ჩატარება;

- პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებათა კლინიკური, პარაკლინიკური და ლაბორატორიული ელემენტების იდენტიფიკაცია, დიფერენციაცია და დიაგნოსტიკა, მკურნალობის სქემის შედგენა;
- დაავადებების მართვის პროცესში სხვა დარგის სპეციალისტთა ჩართულობის საჭიროების განსაზღვრა;
- ტრავმით, ოდონტოგენური ინფექციებით ან სხვა პათოლოგიით დაზიანებული სარძევე და მუდმივი კბილების მარტივი ექსტრაქციების ჩატარება;
- პირის ღრუს ან ყბა-სახის მიდამოს ტრავმული დაზიანებისას პირველადი დახმარების აღმოჩენა, ჭრილობის დამუშავება და მოვლა;
- გადაუდებელი დახმარების ბლოკში ყბა-სახის მიდამოს მწვავე ტრავმის მქონე პაციენტის მართვაში მონაწილეობა;
- კბილთა პირველადი და მეორადი, ნაწილობრივი და სრული ადენტიების დიაგნოსტიკა, ორთოპედიული მკურნალობის გეგმის შედგენა, ანაბეჭდის აღება, ანაბეჭდიდან მოდელის მიღება, კბილის ჩანართების დამზადება, ორთოპედიული კონსტრუქციის შერჩევა, სხვადასხვა ტიპის პროთეზის დამზადების სატექნიკო-ლაბორატორიულ პროცესში მონაწილეობა და მკურნალობის პროცესში ჩართულობა;
- თანკბილვის ანომალიების დიაგნოსტიკა, რენტგენოლოგიური და ცეფალომეტრული კვლევით მიღებული შედეგების ანალიზი, მკურნალობის გეგმის შედგენა, სხვადასხვა ორთოდონტიული კონსტრუქციებით ორთოდონტიული ანომალიების მართვაში მონაწილეობა;
- ბავშვთა და მოზარდთა პირის ღრუს მდგომარეობის შეფასება, სარძევე, ცვლადი და მუდმივი თანკბილვის დიფერენცირება და ასაკობრივი ნორმების ცოდნა. პროფესიული ჰიგიენის ჩატარება, პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვა. ბავშვთა ასაკში კარიესული და არაკარიესული, პულპისა და პერიოდონტის, პაროდონტისა და ლორწოვანი გარსის დაავადებების მიმდინარეობის თავისებურებების ცოდნა, მკურნალობის გეგმის შედგენა, მკურნალობისთვის საჭირო საშუალებების შერჩევა და ბავშვთა ასაკში სტომატოლოგიურ დაავადებათა მართვის პროცესში მონაწილეობა;
- ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ავადმყოფთა პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს თანდაყოლილი ანომალიების, განვითარების მანკების, ტრავმული, სიმსივნური, მწვავე და ქრონიკული ანთებითი დაავადებების ცოდნა და მათ მართვაში მონაწილეობა;
- პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გეგმის შედგენაში მონაწილეობა;
- სტომატოლოგის კაბინეტში ინფექციის კონტროლის პრინციპების ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენება;



- სტომატოლოგიური პროფილის ამბულატორიასა და სტაციონარში თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული მკურნალობის დროს ექიმის და კოლეგა-სტუდენტის (მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ) ასისტირება;
- პაციენტის და ექიმის უსაფრთხოების წესების დაცვა, დეონტოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების იდენტიფიკაცია, კომპეტენციის ფარგლებში სიტუაციის მართვა.

## **დარგობრივი კომპეტენციები**

კურსდამთავრებულის დარგობრივ ცოდნასა და დარგობრივ უნარებს მოიცავს:

### **დარგობრივი ცოდნა**

- ბიოსამედიცინო (ადამიანის ანატომია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, იმუნოლოგია), ქცევითი და სოციალური (ფსიქოლოგია, ადამიანის განვითარება, სოციოლოგია) და პრეკლინიკური მეცნიერებების;
- კლინიკური სამედიცინო მეცნიერებების (პათომორფოლოგია, მიკრობიოლოგია, შინაგანი დაავადებები, ქირურგია, ბავშვთა დაავადებები, ინფექციური დაავადებები, ანესთეზიოლოგია, რადიოლოგია, სხვ.);
- კლინიკური სტომატოლოგიური მეცნიერებების (ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია, ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია, ოდონტოლოგია და ენდოდონტია, ორთოპედიული სტომატოლოგია, სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა, პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგია, პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების მკურნალობა, ყბა-სახის მიდამოს ონკოლოგია, ორთოდონტია);
- იცის ფარმაკოლოგიური საშუალებების კლასიფიკაცია, მოქმედების მექანიზმი, დოზირება, დანიშნულება, მოსალოდნელი გვერდითი ეფექტები, რეცეპტის გამოწერა;
- ეთიკური და სამართლებრივი პრინციპები სამედიცინო და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში:
  - პაციენტთა უფლებები,
  - კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპები,
  - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურეობის სფეროში,
  - სტომატოლოგის როლი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში – პროფესიული რეგულაციის სისტემები.

### **დარგობრივი უნარები**

- სტომატოლოგიური პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა

ანამნეზის შეკრების უნარი, სადიაგნოსტიკო საშუალებებისა და მეთოდების ცოდნა და გამოყენება, პაციენტთან სწორი კომუნიკაცია, პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ობიექტური დათვალიერება და კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევებით მიღებული შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია მომავალში დაავადების მართვის სწორი გეზის შედგენისთვის, მსგავსი კლინიკური ნიშნებისა და ობიექტური მონაცემების მქონე პათოლოგიების დიფერენციული დიაგნოსტიკა. სტომატოლოგიური პაციენტის მდგომარეობის კომპლექსური შეფასება და თერაპიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული, ქირურგიული მკურნალობის საჭიროების განსაზღვრა;

○ პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს დაავადებების კლინიკური შემთხვევების შეფასება, დაავადებ(ების)ის მართვაზე მსჯელობა

პაციენტის პრობლემის გაანალიზებით ახდენს კლინიკური პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის დემონსტრირებას. განსაზღვრავს დარგობრივ პრობლემას (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული) და შეიმუშავებს დაავადებათა მართვის სქემას. ითვალისწინებს პაციენტის ასაკს და, ბავშვთა, მოზარდთა, მოზრდილთა და ხანდაზმულთა შემთხვევაში, ავლენს პრობლემის გადაჭრისადმი დიფერენციული მიდგომის უნარს.

○ გადაუდებელი სტომატოლოგიური დახმარება (კომპეტენციის ფარგლებში):

- პირველადი გადაუდებელი დახმარება პულპისა და პერიოდონტის მწვავე და ქრონიკული გამწვავებული დაავადებების დროს ბავშვებსა და მოზრდილებში;
- პირველადი დახმარება სარძევე და მუდმივი კბილების ტრავმის დროს (კბილის გვირგვინის, ფესვის მოტეხილობები, სრული და ნაწილობრივი ამოვარდნილობა);
- პირველადი დახმარება ორთოპედიული კონსტრუქციების დაზიანების დროს (კერამიკული გვირგვინის, მოსახსნელი ორთოპედიული კონსტრუქციის გატეხვა და სხვა);
- პირველადი სამედიცინო დახმარება პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოში ჭრილობების არსებობის დროს;
- პირველადი დახმარების გაწევა სტომატოლოგიურ კაბინეტში ურგენტული სიტუაციების (გულის წასვლა, კოლაფსი, ჰიპერტონიული კრიზი, მედიკამენტური ალერგია, მათ შორის - ანაფილაქსიური შოკი, საანესთეზიო ხსნარებით მოწამვლა) განვითარების დროს.

○ სტომატოლოგიური მასალების, საშუალებების და ინსტრუმენტების შერჩევა

საანესთეზიო, პირის ღრუს საიზოლაციო, საბჟენ-სარესტავრაციო, ენდოდონტიური, საანაბეჭდო, ორთოპედიული კონსტრუქციების

დასამზადებელი, კბილთა საექსტრაქციო, ჭრილობის დასამუშავებელი, საკერავი და სხვ.).

o პრაქტიკული პროცედურების ჩატარება (კომპეტენციის ფარგლებში):

- კარიესის პრევენციისთვის საჭირო საშუალებების შერჩევა და კბილთა ფისურების ჰერმეტიზაცია,
- კარიესის დიაგნოსტიკა და კბილთა დაბეუნა,
- კბილთა ენდოდონტიური მკურნალობის პროცესში ვიტალური ტესტების გამოყენება და აპექსლოკაცია,
- ენდოდონტიური მკურნალობის ჩატარება და კბილის ფესვის არხების დაბეუნა,
- პაროდონტის დაავადებათა მართვის პრინციპების ცოდნა, პირის ღრუს პროფესიული მკურნალობა და პაროდონტის დაავადებათა კონსერვატიული მკურნალობა,
- პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დიფერენციაცია და პირველადი დახმარების გაწევა,
- ბავშვთა ასაკში სარძევე და მუდმივი კბილების დაავადებათა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება,
- ბავშვთა და მოზარდთა სარძევე და მუდმივი კბილების მარტივი და რთული კარიესის მართვა,
- აპლიკაციური, ინფილტრაციული და რეგიონული ანესთეზიების ჩატარების ტექნიკის ფლობა,
- კბილთა ექსტრაქციების ჩვენებების განსაზღვრა და მარტივი ექსტრაქციების ჩატარების უნარის ფლობა,
- პირის ღრუში ჭრილობის დამუშავება და ნაკერის დადება,
- ფლობს საანაბეჭდო მასების მომზადებისა და ანაბეჭდის ალების წესებს,
- ფლობს უკბილო ზედა და ქვედა ყბებიდან ანატომიური და ფუნქციური ანაბეჭდების ალების ტექნოლოგიას,
- შეუძლია ზედა და ქვედა მთლიანი მოსახსნელი პროთეზების მორგება,
- შეუძლია სრული ადენტის დროს ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრა,
- შეუძლია მოსახსნელი და მოუხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციების სატექნიკო ლაბორატორიაში დამზადების ეტაპების განსაზღვრა,
- შეუძლია კბილის გვირგვინოვანი ნაწილის დეფექტებისა და კბილთა რკალში შექმნილი დეფექტების დროს დასამზადებელი ორთოპედიული კონსტრუქციების: ჩანართების, ხელოვნური გვირგვინების (ლითონის, პლასტმასის, კერამიკის), ხიდისებრი პროთეზების (მეტალოკერამიკის, პლასტმასის, ლითონის), ნაწილობრივი ფირფიტოვანი მოსახსნელი პროთეზებისა და ბიუჯელისებრი კონსტრუქციების დამზადების კლინიკური ეტაპების განსაზღვრა,

- შეუძლია ნაწილობრივ/მთლიან მოსახსნელ ფირფიტოვან და ბიუჯელისებრ პროთეზებთან ადაპტაციის ეტაპების განსაზღვრა, პაციენტისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება,
  - შეუძლია პაროდონტის დაავადებათა ორთოპედიული მეთოდებით მკურნალობის პრინციპების განსაზღვრა, პაროდონტიტის მკურნალობის მიზნით შერჩევითი მოქლიბვის ჩატარება,
  - შეუძლია მავთულოვანი არტაშნის დამზადება,
  - შეუძლია ძვალშიდა იმპლანტაციის შემდგომი პროთეზირებისათვის კონსტრუქციის შერჩევა და მკურნალობის გეგმის შედგენა,
  - შეუძლია პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოში სიმსივნისმაგვარი დაავადებებისა და სიმსივნეების დიაგნოსტიკა,
  - შეუძლია/იცის ბავშვთა, მოზარდთა და მოზრდილთა ცალკეული კბილების, კბილთა რკალის ანომალიების და ყბების დეფორმაციების ეტიოლოგიის, პათოგენეზის დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები;
  - შეუძლია ორთოდონტიაში გამოყენებული მასალების, ბიომექანიკის, აპარატების, მათი კლასიფიკაციის, პროფილაქტიკური, სამკურნალო და რეტენციული ტიპის აპარატების აგებულების და მოქმედების პრინციპების განსაზღვრა,
  - შეუძლია ზედა ტუჩის, ალვეოლური მორჩის, მაგარი და რბილი სასის ცალმხრივი და ორმხრივი ნაპრალების დროს განვითარებული ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის და ყბების ტრავმული დაზიანების ეტიოლოგიის, მკურნალობის და პროფილაქტიკის განსაზღვრა.
- სტომატოლოგიურ პაციენტთან კომუნიკაცია
    - დამოუკიდებლად ამყარებს კომუნიკაციას პაციენტთან და მის ახლობლებთან, კოლეგებთან, შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა, საპირისპირო აზრის მოსმენა, პაციენტისთვის უსიამოვნო ინფორმაციის მიწოდება, საჭიროებისამებრ – მისი დამშვიდება,
    - შეუძლია რთულ სიტუაციებში გამოსავლის პოვნა და პაციენტთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანამშრომლობა,
    - შეუძლია სათანადო კომუნიკაციური უნარების ფლობის საფუძველზე პაციენტისგან (მისი მშობლის ან მეურვე პირისგან) ინფორმირებული თანხმობის მიღება სამედიცინო პრობლემების გადაწყვეტისა და ამ საქმეში ერთობლივი კოოპერაციის შესახებ.
  - სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება
    - აცნობიერებს დიპლომირებული სტომატოლოგის მოვალეობას, ეთიკური პრინციპების დაცვით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,

- იზრუნოს ადამიანის პირის ღრუს ჯანმრთელობაზე, ისევე როგორც ორგანიზმის ჯანმრთელობაზე ზოგადად,
- უზრუნველყოს პაციენტის უფლებებისა და ღირსების დაცვა და სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარებისა და მკურნალობის ჩატარების გადაწყვეტილების მიღებისას მისი მონაწილეობა; მიიღოს პაციენტისგან ინფორმირებული თანხმობა სტომატოლოგიური გამოკვლევებისა და მკურნალობის ჩატარებაზე,
  - დაიცვას პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა.

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამაში დასახული სწავლების მიზნების, ამოცანებისა და შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება თეორიული და პრაქტიკული (მათ შორის - კურსი) მეცადინეობების ციკლი. აკადემიური ცოდნის მიღების პროცესში, თეორიული საკითხების ათვისებისას მომავალი სტომატოლოგი მეტწილად დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილ დროში ახდენს, ხოლო საკონტაქტო საათები სემინარულ მეცადინეობებს, სიმულაციურ გარემოში მუშაობას, სტომატოლოგიურ დანადგარებთან სწავლებას და როლურ თამაშებს ეთმობა.

დეპარტამენტების სტომატოლოგიურ სავარძლებზე პროფესორის ან მოწვეული მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ პაციენტების მიღების გარდა, კლინიკაში სწავლის საწყის ეტაპზევე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ საფანტომო კლასებში, სტომატოლოგიურ ფანტომ-მულაჟებზე შეისწავლონ სხვადასხვა კლინიკური მანიპულაცია და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

### სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. დარგობრივი უნარების ათვისება სწავლების წინაკლინიკურ ციკლებზევე იწყება. პაციენტთა კონსულტირების, მათი გამოკვლევის, სტომატოლოგიური დაავადებების დიაგნოსტირების და მართვის პროცესში ჩართულობამდე სტუდენტებს პრაქტიკული ჩვევების გაცნობა, ათვისება და დამოუკიდებლად შესრულება სტომატოლოგიურ სიმულატორებზე, ფანტომ-მულაჟებზე, ხელოვნურ და ექსტრაგირებულ კბილებზე უწევთ. სემინარულ მეცადინეობებზე კი ამზადებენ რეფერატებს, პრეზენტაციებს, აქტიურად არიან ჩართულნი ილუსტრირებული ამოცანების ამოხსნაში.

კლინიკურ გარემოში მომავალი დიპლომირებული სტომატოლოგი კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას (CBL) გადის, ეუფლება კლინიკურ აზროვნებას (CBCR), მონაწილეობს როლურ თამაშებში (ექიმის, მისი თანაშემწის, პაციენტის, პაციენტის ახლობელთა როლები). სწავლების კლინიკური ციკლის გავლისას სტუდენტი ჩართულია პაციენტის გამოკვლევებში, მონაწილეობს მისი მკურნალობის პროცესში მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ (კომპეტენციის ფარგლებში).

პროგრამა აგებულია ლოგიკურად. მასში შემავალი კომპონენტები სწავლების შესაბამისი ეტაპის ადეკვატურია. თითოეული მათგანი ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნას და უნარებს, მეორე მხრივ, წარმოადგენს წინაპირობას "მემკვიდრე" კომპონენტის/კურსის ათვისებისათვის. პროგრამის კურიკულუმის მიხედვით, პრერეკვიზიტული და მემკვიდრე დისციპლინები პარალელურ რეჟიმში არ ისწავლება, მათ შორის - არც საგნის განმეორებითი მოსმენის დროს.

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის პირველ-მეოთხე სემესტრებში კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა საბაზისო და პრეკლინიკური დისციპლინის წარმატებული შესწავლა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას მეხუთე სემესტრში სტუდენტის დაშვებისათვის. ეს ერთგვარი საეტაპო ბარიერი გულისხმობს ბიოსამედიცინო და პრეკლინიკური მიმართულებით სტუდენტის მიერ თანდათანობით აკუმულირებული ცოდნის საკმარისობის დადასტურებას, რაც აუცილებელია კლინიკური, მათ შორის და უპირველესად – მაპროფილებელი სასწავლო კურსების ვალიდური შესწავლის დაწყებისათვის. ამასთან, პირველ-მეოთხე სემესტრებში აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტის მიერ საგნის განმეორებითი მოსმენა/შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ბარიერით დადგენილი ეტაპის დასრულებამდე.

#### **პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება:**

სწავლა გამოცდილებით - სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის გავლისას ეს პროცესი წინაკლინიკურ ციკლებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებითა და გამოცდილების დაგროვებით სიმულაციურ გარემოში მიიღწევა, კლინიკურ ციკლებზე კი ეს გამოცდილება სტომატოლოგიურ კლინიკებში პაციენტის სავარძელთან და ყბა-სახის ქირურგიის სტაციონარებში საოპერაციო მაგიდასთან და ავადმყოფის საწოლთან გამოიყენება. სწავლა გამოცდილებით რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილება - აღწერა იმისა, თუ რა მოხდა;
- შეგრძნებები - ის, რასაც ფიქრობს და შეიგრძნობს სტუდენტი;
- შეფასება - რა არის კარგი და რა არის ცუდი მიღებულ გამოცდილებაში და დაგროვილ ინფორმაციაში;
- გამოცდილების ანალიზი - რატომ იყო ესა თუ ის გამოცდილება/ცოდნა კარგი, ან ცუდი;
- დასკვნა - კიდევ რა შეეძლო გაეკეთებინა/არ გაეკეთებინა სტუდენტს შედეგის გასაუმჯობესებლად;
- შემდგომი პრაქტიკის სამოქმედო გეგმა - რას მოიმოქმედებს სტუდენტი მსგავსი სიტუაციის კვლავ აღმოცენების შემთხვევაში.

*სტომატოლოგიის სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები:*

- **ლექცია და სემინარი** - პრეზენტაცია, თეორიული და რეალურ კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალის ვერბალური გადმოცემა;
- **დისკუსიაში, დებატებში ჩართვა** - კამათი, საკუთარი აზრის დაფიქსირება და დასაბუთება, ახსნა-განმარტება;
- **თანამშრომლობითი სწავლება;**
- **წიგნზე მუშაობა, ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;**
- **წერითი მუშაობა** - კონსპექტების, ჩანაწერების გაკეთება, თეზისებისა და რეფერატების მომზადება, სავარჯიშოებზე, ტესტებზე, ილუსტრირებულ ამოცანებზე, სამედიცინო დოკუმენტაციაზე მუშაობა;
- **სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა;**
- **პრეზენტაცია, რეფერატის წარდგენა;**
- **ლაბორატორიული სწავლება;**
- **დემონსტრირების მეთოდი;**
- **შემთხვევის ანალიზი (Case study);**
- **გონებრივი იერიშის მეთოდი (Brain storming);**
- **როლური თამაშები** - სტუდენტი ექიმისა და/ან პაციენტის როლში;
- **პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისება** - ფანტომ-მულაჟებზე, სიმულატორებზე, შემდგომში - საუნივერსიტეტო კლინიკებში პაციენტთან უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ (კომპეტენციის ფარგლებში);
- **კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching)** - სტომატოლოგიურ სავარძელთან და/ან ავადმყოფის საწოლთან სწავლება;
- **კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL)** - კონკრეტული კლინიკური შემთხვევების, პრობლემების ანალიზი, კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება და კლინიკური აზროვნების განვითარება;
- **კომუნიკაციის სწავლების მეთოდი.**

### **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი სასწავლო კურსში/დისციპლინაში ფასდება მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე (სასწავლო კურსის/დისციპლინის საბოლოო შეფასება - 0-100 ქულა).

შუალედური შეფასება წარმოადგენს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების კომპონენტების (სტუდენტთა დასწრება, ყოველკვირეული/ყოველდღიური მიმდინარე აკადემიური, კლინიკური და პრაქტიკული აქტივობები, სხვ.) მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 0- 60 ქულით; დასკვნითი გამოცდა ფასდება 0-40 ქულით.

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", ევროპული კრედიტ-სატრანსფერო სისტემის (ECTS), საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანების, საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის #785 ბრძანების შესაბამისად.

გამოცდაზე სტუდენტის დამზების აუცილებელი პირობაა, სასწავლო კურსში შუალედური შეფასების ე.წ. წინასაგამოცდო მინიმალური ბარიერის გადალახვა (27 ქულა), დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ 24 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 60% და მეტი) მიღების შემთხვევაში.

სასწავლო კურსი ითვლება ჩაბარებულად, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის დადებითი ქულათა ჯამი შეადგენს 51-ს და მეტს.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტის ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეფასების სხვადასხვა მონო- ან კომბინირებული მეთოდი გამოიყენება: ტესტები (MCQ), ზეპირი, ზეპირი და წერითი (ტესტი და ღია კითხვები, ილუსტრირებული ამოცანები), საფანტომო კომპონენტი და ზეპირი, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE), კლინიკური კომპონენტი და ზეპირი, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE). დანერგილია უკუკავშირის (FB) პრაქტიკა.

პროგრამაში გამოიყენება ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- A - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა,
- B - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა,
- C - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა,
- D - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა,
- E - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების - 51-60 ქულა.

პროგრამაში გამოიყენება ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- Fx - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
- F - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის საგანში დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.



დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება სტუდენტს ეძლევა:

- ძირითად სასესიო პერიოდში გამოცდაზე გაუსვლელობის შემთხვევაში, მიზეზის მიუხედავად;
- ძირითად სასესიო პერიოდში Fx შეფასების მიღების შემთხვევაში.

X სემესტრის ბოლოს ტარდება დამამთავრებელი, ინტეგრირებული გამოცდა. დამამთავრებელი გამოცდის შეფასება 0-40 ქულაა. გამოცდის შინაარსი შედგება პროგრამის განხორციელების დროს სპეციალური კლინიკური დისციპლინების ციკლის/ბლოკის X სემესტრში გავლილი სასწავლო კურსების თემატური საკითხებიდან მათი კრედიტ-მოცულობის პროპორციულად.

X სემესტრში შეისწავლება „სტომატოლოგიის ინტეგრირებული მოდული“, რომელიც შედგება შემდეგი სასწავლო კურსებისგან:

- კლინიკური ოპერაციული ოდონტოლოგია და კლინიკური ენდოდონტია (კლინიკური ინტეგრაციის კურსი);
- კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია 2;
- ორთოდონტია 4;
- ყბა-სახის ქირურგია 4 და იმპლანტოლოგია;
- ბავშვთა და მოზარდთა პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგია (კლინიკური ინტეგრაციის კურსი);
- კლინიკური უნარების ინტეგრირებული კურსი.

**მოდულის განხორციელებაში ჩართულია:** ოდონტოლოგიის, ორთოპედიული სტომატოლოგიის, ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგიის, პაროდონტოლოგიისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა, ბავშვთა და მოზარდთა ყბა-სახის ქირურგიისა და ქირურგიული სტომატოლოგიის, ორთოდონტიის, პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტი და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტები.

ინტეგრირებულ გამოცდაზე სტუდენტის დაშვებისათვის აუცილებელია ბლოკში შემავალ ყველა სასწავლო კურსში შუალედური შეფასების ე.წ. წინასაგამოცდო მინიმალური ბარიერის გადალახვა (27 ქულა), ერთ-ერთ სასწავლო კურსშიც კი, ამ წინაპირობის შეუსრულებლობა წარმოადგენს უკუჩვენებას გამოცდაზე დაშვებისთვის. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი ყველა „დაინტეგრირებულ“ სასწავლო კურსს გადის თავიდან.

ინტეგრირებული შუალედური შეფასების (0-60 ქულა) გამოთვლის ალგორითმი, თითოეული დისციპლინის შუალედური შეფასების და მისი კრედიტ-მოცულობის გათვალისწინებით, ასეთია:

- ინტეგრირებულ გამოცდაში შემავალ ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული შუალედური შეფასება მრავლდება ამ სასწავლო კურსის კრედიტ-მოცულობაზე;
- ჯამდება ინტეგრირებულ გამოცდაში შემავალ ყველა სასწავლო კურსში მიღებული შუალედური შეფასებების ნამრავლი ამ სასწავლო კურსის კრედიტ-მოცულობაზე;
- მიღებული ჯამი იყოფა ყველა სასწავლო კურსის ჯამურ კრედიტ-მოცულობაზე;
- მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებელი წარმოადგენს ინტეგრირებული გამოცდის ბლოკში შემავალი სასწავლო კურსების ჯამურ შუალედურ შეფასებას, რომელიც მომავალში დაჯამდება საგამოცდო შეფასებასთან; მიღებული ჯამი კი წარმოადგენს ინტეგრირებული გამოცდის საბოლოო შეფასებას.

მოდული სრულდება გამოცდით რომელიც მოიცავს ორ ეტაპს:

**პირველ ეტაპს** წარმოადგენს ინტეგრირებული OSCE, რომლის მაქსიმალური ქულა არის 16, ხოლო მინიმალური ზღვრული ბარიერი 9,6 ქულა.

**მეორე ეტაპი** - ტესტირება თსსუ-ის საგამოცდო ცენტრში, პროგრამული ფორმატით ტარდება და იგი მოიცავს, როგორც კლინიკური უნარების ინტეგრირებული კურსის, ისე სტომატოლოგიის მოდულში შემავალი სასწავლო კურსების თემატურ საკითხებსაც. გამოცდის მაქსიმალური შეფასება 24 ქულაა, მინიმალური 14,4 ქულა. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი გამოცდის თითოეულ ეტაპზე მითითებული ქულობრივი მაჩვენებლის მინიმალურ ბარიერს - 60%-ს გადალახავს.

საკონსულტაციო შეხვედრების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია ინფორმაცია მიიღოს როგორც პროგრამის განხორციელების დროს, ისე გამოცდის შემდეგ მის მიერ შესრულებული დავალების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და, ასევე, რეკომენდაციები შედეგების გასაუმჯობესებლად.

სტუდენტის შედეგი (მიღწევები) სწავლის შედეგის მიღწევისთვის გამოყენებული სწავლების მეთოდების, ფორმების ინდიკატორია. ყოველი სასწავლო კურსის ფინალურ გამოცდაზე სტუდენტების მიერ მიღებული შედეგის ანალიზი სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.

### **პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი**

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კონკურსის წესით არჩეული აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებლები.

### **პროგრამის განხორციელებითვის აუცილებელი მატერიალური რესურსი**

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სათანადო

ინვენტარიტა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, სასწავლო ლაბორატორიები, საფანტომო და სიმულაციური კლასები, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი. მდიდარი წიგნობრივი რესურსის მქონე ბიბლიოთეკა, ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებითა (ბიბლიოთეკას აქვს ავტომატიზებული სისტემები Koha და Dspace და წვდომა ისეთ მონაცემთა ბაზებთან, როგორცაა: EBSCO, BioOne, Royal Society Journals Collection, Cambridge University Journals, Edward Edgar Publishing Journals და Development Studies e-books; WHO-ს პროგრამის Research4life-ის ფარგლებში აქვს წვდომა HINARY, AGORA, OARE და ARDI-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან. რუსთაველის სამეცნიერო ფონდით უზრუნველყოფილია Elsevier-ის ელექტრონულ ბაზებზე - ScienceDirect და Scopus-ზე თავისუფალი წვდომა.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის არსენალში კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ხუთი მაღალტექნოლოგიური კლინიკური ბაზაა:

- თსსუ-ის აპ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა,
- თსსუ-ის #1 სტომატოლოგიური კლინიკა,
- თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა,
- თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა,
- თსსუ-ის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა.

**პროგრამის ხელმძღვანელი - ნინო კორსანტია**

*ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი*